თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 14

ქ. თერჯოლა 22.12.2021 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბრეაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. მანუჩარ ფანჩულიძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. კობა კირკიტაძე, 4. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 10 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282135616, 22.12.2021 წ.).

მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის ცვლილებამ. დაკორექტირდა შემოსულობები და მოხდა ხარჯვითი ნაწილის კორექტირება.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა შემცირდა 975.0 ათასი ლარით და შეადგენს 20662.0 ათას ლარს.

გრანტების გეგმა შემცირდა 635,5 ათასი ლარი. სხვა შემოსავლების გეგმა შემცირდა 432.1 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა164.0 ათასი ლარით).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 256.6 ათასი ლარით (ქონების გადასახადი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა - 1250.9 ათასი ლარით, საკრებულოს დაფინანსება შემცირდა 47.9 ატასი ლარით. მერიის დაფინანსება შემცირდა 75.1 ათასი ლარით. სამხედრო სამსახურის დაფინანსება შემცირდა 5.7 ათასი ლარით. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 1.9 ათასი ლარით. გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი შემცირდა 22.1 ათასი ლარით. წყალმომარაგება შემცირდა 399.7 ათასი ლარით. გარე განათების ხარჯი შემცირდა 8.7 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება შემცირდა 65,0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება შემცირდა 45.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია შემცირდა 166,3 ათასი ლარით.შუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 381.1 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა 1.4 ათასი ლარით. ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება შემცირდა 14.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება შემცირდა 5.0 ათასი ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება შემცირდა 12.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 275.9 ათასი ლარით: გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 275.9 ათასი ლარით. ლარით.(კვახჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის დაფინანსება გაიზარდა 98.0 ათასი ლარით და სიქთარვა-ჩხარი ეწრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის დაფინანსდება გაიზარდა 177.9 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ, ნინო მახათაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი